



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

გამგებლის ბრძანება

N 2720
24/07/2017

2720-02-4-201707241714



**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალაბასთუმნის, ინგირისა და ორსანტიის
ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახლების საერთო კრების მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 იანვრის N1 დადგენილების „დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და ეკონომიკური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიმდინარე წლის 21 ივლისის N2710-02 მომართვის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალაბასთუმნის, ინგირისა და ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2017-2018-2019 წლებში, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევისა და პრიორიტეტების დასადგენად მოწვეულ იქნას დასახლების საერთო კრება, მიმდინარე წლის 8 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით.
2. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებს და IV რანგის პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტებს (ახალაბასთუმანი, ინგირი და ორსანტია) დასახლების საერთო კრების მოწვევისათვის საჭირო ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა.
3. მოწვეული კრების თავმჯდომარეობა დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს მამუკა წოწერიას და მდივნის ფუნქციების შესრულება დაეკისროს გამგეობის IV რანგის პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტებს შესაბამისი სოფლების მიხედვით.
4. დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის, ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის კოორდინაციის განყოფილებას ადმინისტრაციულ ერთეულში მოსაწვევი კრებების კოორდინაციის გაწევა.

5. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფების საშუალებებით.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს მამუკა წოწერას.
7. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

ლაშა გოგია

გამგებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა

